შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ
დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №48/19.09.2019

კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

(პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეცვლის ან გაუქმების წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი, სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემა)

თბილისი

2019

თავი I - პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის და მობილობის წესი

მუხლი 1. პროფესიული ტესტირების გარეშე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის მოპოვების პირობები

1. პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელიც ადგენს დოკუმენტების მიღების ვადას და ქვეყნდება საჯაროდ (დაწესებულების ვებგვერდის მეშვეობით);
2. კოლეჯი მიღებას აცხადებს პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგამებზე დაწესებულების საერთო კვოტისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არსებული კვოტის გათვალისწინებით;
3. არაქართულენოვანი პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, სავალდებულოა ქართული ენის ტესტის ჩაბარება. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, პირი ვალდებულია გაიაროს ქართული ენის მოდულები და შემდეგ გააგრძელოს სწავლა შერჩეულ პროფესიულ საგანმანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამაზე.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში მონაცემები, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების შესახებ, შეიტანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 1[1]. პროფესიული ტესტირებით პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის სტატუსის მოპოვების პირობები

1. კოლეჯი მიღებას აცხადებს პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაწესებულების საერთო კვოტისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არსებული კვოტის გათვალისწინებით;
2. პროფესიული ტესტირებით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის N152 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად;
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემაში მონაცემები, ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების შესახებ, შეიტანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთვის საჭირო დოკუმენტაცია

პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება წარმოებს შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ[1]) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის სათანადო უფლებამოსილებას (დაბადების მოწმობა და/ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);
ბ[2]) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
გ) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4;
დ) საბაზო/საშუალო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;
დ[1]) შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება.

მუხლი 3. მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება

1. სხვა პროფესიული დაწესებულებიდან გადმოსვლის შემთხვევაში, მობილობის წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების უფლება აქვს პროფესიულ სტუდენტს, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით ითვლება ავტორიზებულად; ან იმ უცხო ქვეყნის/ოკუპირებული ტერიტორიის პროფესიულ სტუდენტს, რომლის პროგრამა და შედეგები აღიარებული იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.
2. მობილობა კოლეჯის შიგნით ან/და სხვა პროფესიული დაწესებულებიდან შეიძლება განხორციელდეს პროფესიული განათლების ერთი საფეხურის/დონის ფარგლებში ან მაღალი საფეხურიდან უფრო დაბალ საფეხურზე/დონეზე.
3. გარე მობილობის წესით მიღებული განათლების აღიარება მიმდინარეობს შემდეგნაირად:
ა) მიღებული განათლების აღიარების მსურველ პირთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განსახილველად იკრიბება მიმღები კომისია და განიხილავს წარმოდგენილ დოკუმენტაციას;

ბ) მიმღები კომისიის მიერ, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებისთვის, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან დამატებით სხვა ინფორმაცია, რომლის წარდგენის ვალდებულება აკისრია განათლების აღიარების მსურველ პირს;

გ) მიმღები კომისიის მიერ დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და კოლეჯის პროგრამის თავსებადობა შესაბამისი კრედიტების აღიარებით;

დ) თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის (სასწავლო კურსი) სახელწოდება მცირედით განსხვავდება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისგან, თუმცა შინაარსობრივად ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური, ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება ცნობილ იქნას კომისიის მიერ;

ე) თუ პირის მიერ განვლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები მეტია, ვიდრე დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, კრედიტები ცნობილ იქნება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;

ვ) თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები ნაკლებია, ვიდრე დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, აღიარებული იქნება კრედიტები ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. გამონაკლისებს ინდივიდუალურად განსაზღვრავს კომისია;

ზ) თუ პირის მიერ განვლილი სასწავლო კომპონენტი, დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ერთზე მეტი სასწავლო კურსითაა წარმოდგენილი, პროფესიული სტუდენტის მიერ დიპლომის დანართის მოთხოვნისას, შეფასებულ იქნება იგივე ქულით;

თ) თუ პირის მიერ განვლილი ერთზე მეტი სასწავლო კომპონენტი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ერთი სასწავლო კურსით, პროფესიული სტუდენტის მიერ დიპლომის დანართის მოთხოვნისას, შეფასებისას გათვალისწინებული იქნება სასწავლო კომპონენტებს შორის მიღებული უმაღლესი ქულა;

ი) მიმღები კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც მიეთითება აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

4. კოლეჯის შიგნით პროფესიული სტუდენტის მობილობა შეიძლება განხორციელდეს სასწავლო წლის ნებისმიერ დროს. ამ შემთხვევაში დირექტორის მოადგილისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ დგინდება პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა შესაბამისი კრედიტების აღიარებით. დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც მიეთითება აღიარებული კრედიტების რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე

პროფესიულ სტუდენტზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც დაცული უნდა იყოს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ[1]) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის სათანადო უფლებამოსილებას (დაბადების მოწმობა და ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);
ბ[2]) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;
გ) ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4;
დ) საბაზო/საშუალო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;
დ[1]) შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება.
ე) მიღებული წერილობითი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5 . დამატებითი სასწავლო წელი

1. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც პროფესიული საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დააგროვა ამ პროგრამის შესაბამისი კრედიტი და არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, უფლება ეძლევა დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო არაუმეტეს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში.
2. დამატებითი სასწავლო წლის პროფესიულ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესასწავლი დისციპლინების კრედიტების მოცულობის შესაბამისად;
3. ერთი კრედიტის ღირებულება განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის სრული გადასახადის ამავე პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის განაყოფით.
4. პროფესიულ სტუდენტს, რომელიც დამატებითი სასწავლო წლის გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო კრედიტებს, უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, რაც გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სამხედრო სამსახურში ყოფნის პარალელურად შეუძლია დაესწროს მეცადინეობების გარკვეულ რაოდენობას, მას საშუალება აქვს განაგრძოს სწავლა;

გ) ფინანსური დავალიანების დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;

დ) ორსულობა ან მშობიარობა;

ე) ოჯახური პირობები;

ვ) ავადმყოფობა ან/და ოჯახის ავადმყოფ წევრზე მეურვეობა;

ზ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

თ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;

ი) კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.

2. სტატუსის შეჩერების ვადა შეიძლება განისაზღვროს მაქსიმუმ 1 წლით.

3. სტატუსშეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს უნარჩუნდება მის მიერ დაგროვებული კრედიტები/დადასტურებული სწავლის შედეგები.

4. თუ განცხადება არ შეიცავს სტატუსის შეჩერების ვადას, პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების ვადას წყვეტს კოლეჯის დირექტორი.

5. სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტი იხდის სწავლის იმ საფასურს, რომელიც დადგენილი იყო სტატუსის შეჩერებამდე.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდეგ, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იმავე პროფესიული (პროგრამის გაუქმების შემთხვევაში მსგავსი) მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;

2. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს განცხადებით მიმართოს კოლეჯის დირექტორს და მოითხოვოს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა;

3. პროფესიულ სტუდენტს სტატუსის აღდგენის შემთხვევაში უნარჩუნდება გავლილი კრედიტები/დადასტურებული სწავლის შედეგები და გადახდილი სწავლის საფასური;

4. სტუდენტის სტატუსის აღდენა ხდება მობილობის დროს დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია:

ა) დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების გამო, იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ სტუდენტს მიღებული აქვს ორი საყვედური.

ა[1])კოლეჯში ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ გამოცხადების გამო; ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების გამო; ნარკოტიკული საშუალებების მოტანა/გავრცელება/მოხმარების შემთხვევაში; ალკოჰოლის შემცველი სასმელების მოტანა/გავრცელება/მოხმარების შემთხვევაში;

ამ შემთხვევებში პროფესიული სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი, მიუხედავად იმისა, გამოყენებული იყო თუ არა მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომა.

ბ) სტატუსის შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ;

გ) პროფესიული სტუდენტის გადაწყვეტილებით;

დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლისას;

ე) აკადემიური მოუსწრებლობის გამო, 5-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ვ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში გამოუცხადებლობითა და კოლეჯისთვის წერილობით გაცდენის მიზეზის შეუტყობინებლობით;

ზ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით;

თ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებით;

ი) გარდაცვალებით;

კ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევებით.

2. სტატუსშეწყვეტილ პროფესიულ სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა გონივრულ ვადაში უნდა მიიღოს დაწესებულებიდან თავის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

თავი II - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეცვლის ან გაუქმების წესი

მუხლი 9. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე პროგრამის შემუშავება, მასში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება

1. პროგრამის შემუშავება, მასში ცვლილებების შეტანა ხდება დირექტორის მოადგილის შუამდგომლობით;

2. დირექტორის მოადგილე საგანმანათლებლო პროგრამებს დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;
3. დირექტორი ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს და გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც მიეთითება პროგრამის შემუშავებისა, თუ ცვლილებების შეტანის საფუძველი.

მუხლი 10. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე პროგრამის სილაბუსის შემუშავება

1. სასწავლო კურსის სილაბუსები შემუშავდეს შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:
ა) სასწავლო კურსის დასახელება/სახელწოდება;
ბ) სასწავლო კურსის მოცულობა, ხანგრძლივობა;
გ) კრედიტის რაოდენობა;
დ) საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად/საკონტაქტო საათების რაოდენობა;
ე) პროფესიული მასწავლებელი (ლექტორი);
ვ) კურსზე დაშვების წინაპირობები;
ზ) სასწავლო კურსის ფორმატი და მეთოდი;
თ) სასწავლო კურსის მიზანი;
ი) სწავლის შედეგები და კომპეტენციები;
კ) შეფასების წესი;
ლ) ლიტერატურა და სხვა რესურსები;
მ) სასწავლო კურსის შინაარსი/თემატიკა კვირების მიხედვით.
2. შესაძლებელია სილაბუსი მოიცავდეს სხვა დამატებით ინფორმაციას სასწავლო კურსის ფარგლებში.

მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, მასში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება

1. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, მასში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება ხდება „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი“-ს შესაბამისად.

მუხლი 12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

1. პროფესიული საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას კოლეჯში არსებულ თავსებად პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამაზე, შეცვლილი ან გაუქმებული პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.
2. თუ კოლეჯში არ ხორციელდება გაუქმებულ პროფესიულ საგანმანათლებლო/ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, იგი ადასტურებს სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების მიერ მიღებულ კრედიტებს ცალკეულ საგნებში/მოდულებში და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის/სტუდენტების სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობით გადასვლას.

თავი III - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი

მუხლი 13. პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი

1. სწავლა მიმდინარეობს კოლეჯის მიერ შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
2. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება და შესაბამისი კვალიფიკაცის მინიჭება ხდება მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების და ამ პროგრამის შესაბამისი კრედიტების დაგროვების შემთხვევაში.
3. პროფესიულ სტუდენტს კრედიტი ენიჭება კოლეჯის პროგრამებით გათვალისწინებულ დისციპლინებში მიღებული ქულებით.
4. თეორიულ, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო მასალის ათვისების და გამოყენების უნარის შემოწმების საბოლოო ფორმაა გამოცდა. გამოცდის სახეს განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებელი.
5. პროფესიული სტუდენტის შეფასება ხორციელდება შესაბამისი დისციპლინის სილაბუსის მოთხოვნების მიხედვით. კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის პროგრამების და სილაბუსების გაცნობას.

6. იმ პროფესიულ სტუდენტებს, რომლებსაც გამონაკლისის სახით ნებადართული აქვთ სწავლების საერთო ვადის ფარგლებში იმეცადინონ ინდივიდუალური გრაფიკით, გამოცდების ჩაბარება შეუძლიათ პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში.

7. გამოცდაზე დაშვების წინაპირობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მიუთითებს სილაბუსში.

8. გამოცდის თარიღს ყოველ კონკრეტულ სასწავლო კურსში ადგენს მასწავლებელი დირექციასთან შეთანხმებით და აცნობებს პროფესიულ სტუდენტებს გამოცდის დაწყებამდე სულ მცირე 10 დღით ადრე.

9. გამოცდები ტარდება ზეპირად, წერილობით, ტესტების სახით ან კომბინირებულად. გამოცდის ჩატარების ფორმას განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებელი და მიუთითებს სილაბუსში.

10. საგამოცდო საკითხები შეესაბამება დისციპლინის სილაბუსს, რომელსაც ეცნობა პროფესიული სტუდენტი.

11. გამოცდას იბარებს სასწავლო კურსის პროფესიული განათლების მასწავლებელი.

12. დაუშვებელია გამოცდებზე უცხო პირთა დასწრება.

13. ყველა დისციპლინაში ცოდნის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, შემდეგი სახით:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოი.

13.1 ქულები განაწილდება შემდეგი სახით:

თუ დასკვნით გამოცდაზე პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ქულა არის 50%-ზე ნაკლები, ის არ ერთვება საერთო შეფასების სისტემაში. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

პროფესიულ სტუდენტს კრედიტი მიენიჭება ქულების 51%-დან 100%-მდე დაგროვების შემთხვევაში.

ქულების 41%-დან 50%-მდე დაგროვების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი განმეორებით აბარებს გამოცდას.

40%-ზე ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში პროფესიულმა სტუდენტმა განმეორებით უნდა გაიაროს სასწავლო კურსი.

14. დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში:

14.1.საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულმა სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს სათანადო საბუთი, რის შემდეგაც მას ეძლევა უფლება განმეორებით გავიდეს გამოცდაზე არანაკლებ 10 დღეში. გამოცდის თარიღს ნიშნავს პროფესიული მასწავლებელი დირექციასთან შეთანხმებით.

14.2. არასაპატიო მიზეზით დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობა ითვალისწინებს ჯარიმას. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება ამავე მუხლის 17-ე პუნქტის შესაბამისად საგნისთვის მინიჭებული კრედიტების გათვალისწინებით. ჯარიმის გადახდის შემდეგ ინიშნება განმეორებითი გამოცდა 10 დღის ვადაში. ჯარიმის გადახდის და განმეორებით გამოცდაზე გასვლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს. პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ დაფარავს ჯარიმას გათვალისწინებულ ვადებში არ დაიშვება გამოცდაზე.

15. საგამოცდო უწყისები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ უწყისები იხურება.

16. პროფესიული სტუდენტი, რომელიც გამოცდაზე მიიღებს შეფასებას (FX) - ვერ ჩააბარა, დამატებით გამოცდაზე დაიშვება ინდივიდუალური უწყისით მხოლოდ აღნიშნული გამოცდის ჩატარებისთვის დადგენილი თანხის გადახდის შემდეგ, თანხის ოდენობა განისაზღვრება ამავე მუხლის 17-ე პუნქტის შესაბამისად საგნისთვის მინიჭებული კრედიტების გათვალისწინებით.

17. არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდისთვის დაკისრებული ჯარიმის და განმეორებითი გამოცდის საფასური შეადგენს ყოველ ერთ კრედიტზე 10 ლარს.

18. ცალკეულ შემთხვევებში, თუ პროფესიულ სტუდენტს დამუშავებული აქვს სასწავლო მასალა და დაფარა სწავლის დადგენილი ღირებულება, მას უფლება ეძლევა ვადაზე ადრე ჩააბაროს გამოცდები.

გამოცდაზე დაშვების საკითხს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში წყვეტს კოლეჯის დირექტორი.

19. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველია მის მიერ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი კომპეტენციების ათვისება, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტში დადებითი შეფასების მიღებით ან/და კრედიტების აღიარებით.

20. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკვალიფიკაციო კომისია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ საკვალიფიკაციო კომისია განიხილავს პროფესიულ სტუდენტთა პირად საქმეებს, შეისწავლის უწყისებს და ფინანსური სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ან არ მინიჭების თაობაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას ადასტურებს კოლეჯის დირექტორი მის მიერ ხელმოწერილი და კოლეჯის ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტით.

მუხლი 13[1]. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტითა და მოდულებით.
2. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
3. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
4. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

5. თუ მოდული წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს

პროგრამის დასრულებამდე ერთხელ მოითხოვოს სწავლის შედეგის/შესრულების კრიტერიუმის მიღწევის დამატებითი შეფასება, თუ დამატებითი მოთხოვნები შეფასების ინსტრუმენტში გაწერილი არაა. დამატებითი შეფასება ტარდება არდადასტურებული შესრულების კრიტერიუმ(ებ)ის ფარგლებში.

6. თუ მოდული წარმოდგენილია წინაპირობით, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს არაუგვიანეს მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი/შესრულების კრიტერიუმ(ებ)ი. აღნიშნულ ვადაში სწავლის შესაბამისი შედეგის/შესრულების კრიტერიუმის ვერ დადასტურების შემთხვევაში, პროფესიულმა სტუდენტმა მოდული ხელახლა უნდა გაიაროს. დამატებითი შეფასება ტარდება არდადასტურებული შესრულების კრიტერიუმ(ებ)ის ფარგლებში.

7. მოდულის დასრულებამდე და მოდულის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში, განმეორებითი შეფასების თარიღს ნიშნავს პროფესიული განათლების მასწავლებელი დირექციასთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით.

8. მოდულის დასრულებიდან ორი კვირის ვადის გასვლის შემდეგ, პროფესიული სტუდენტი დირექციასთან წერილობითი მიმართვის საფუძველზე ითხოვს, განმეორებით შეფასებას. შეფასების თარიღს პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით ნიშნავს დირექტორი.

9. პროფესიული სტუდენტი, რომელიც ვერ დაადასტურებს სწავლის შედეგებს/შესრულების კრიტერიუმებს, განმეორებით გაივლის მოდულს ალტერნატიული ჯგუფების პროფესიულ სტუდენტებთან ერთად, ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ალტერნატიული ჯგუფების არარსებობისას.

10. თუ პროფესიული სტუდენტები წინაპირობით წარმოდგენილი მოდულის ყველა სწავლის შედეგს დაადასტურებენ სწავლის პერიოდში, დირექტორი უფლებამოსილია, სასწავლო გეგმით განმეორებითი შეფასებისთვის განსაზღვრული ორკვირიანი შუალედი, შეამციროს და გამოსცეს ინდივიდუალ-სამართლებრივი აქტი სწავლის ვადაზე ადრე დაწყების შესახებ.

11. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

12. პროფესიულ კვალიფიკაციას ანიჭებს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების შპს ბარაკონის დირექტორი საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციით. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

13. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების

დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაციას ანიჭებს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების შპს ბარაკონის დირექტორი საკვალიფიკაციო კომისიის რეკომენდაციით. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

14. მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო/ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

15. მტკიცებულებები დაცულია კვალიფიკაციის მინიჭებამდე, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. მტკიცებულებები კვალიფიკაციის მინიჭებიდან ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.

16. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს აქვს პრაქტიკული პროექტის შესაბამისი რეალური სამუშაო გამოცდილება სწავლის პარალელურად ან წინა გამოცდილება (მინიმუმ 3 თვე), მაშინ მოხდება ამ გამოცდილების აღიარება და სტუდენტისთვის შესაბამისი კრედიტების მინიჭება.

თავი IV - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი

მუხლი 14. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრება

1. შუალედური/დასკვნითი გამოცდის/სწავლის შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად 3 სამუშაო დღის ვადაში.

2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან 2 დღის განმავლობაში, წერილობითი საჩივარი წარადგინოს დირექტორის მოადგილესთან, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა პროფესიული განათლების მასწავლებელს/მოდულის განმახორციელებელს იმავე, ან მომდევნო სამუშაო დღეს.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელი/მოდულის განმახორციელებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 2 დღის ვადაში.

4. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი ფასდება ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, დირექტორის

მოადგილის დავალებით შესაბამისი ნაშრომის შეფასება დაევალება კოლეჯის შესაბამისი დარგის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელს.
5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა და ძალაში დატოვოს მიღებული შეფასება, ან მიღებული შეფასება შეცვალოს სტუდენტის სასარგებლოდ.
6. გასაჩივრების დაკმაყოფილების და პროფესიული სტუდენტისათვის შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს შეფასების უწყისში, რისთვისაც წერს სამსახურებრივ ბარათს დირექტორის მოადგილის სახელზე.
7. საჩივარი, რომელიც მოკლებული იქნება არგუმენტირებულ დასაბუთებას, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
8. გასაჩივრების შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

თავი V - სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

მუხლი 15. სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისთვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სრულ ინფორმაციას სტუდენტის ქცევითი, კომუნიკაციური ჩვევების, შესაძლებლობისა და მისთვის საჭირო მომსახურებების შესახებ.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში:
ა) სსსმ პირებისთვის;
ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას;
გ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის;
დ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას.
3. სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება შემდეგნაირად:
ა) პროფესიული განათლების მასწავლებელი სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად მიმართავს დირექტორის მოადგილეს, რომელიც

უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და მოდულის განმახორციელებელთან ერთად სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვებას;
ბ) სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების შემდეგ სსსმ პირისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებისას, პროცესში ერთვება ინკლუზიის სპეციალისტი და პროფესიული სტუდენტის მშობელი;
გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე). შესაბამისად აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.
ე) სსსმ პირისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება დირექტორს, რომელიც გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს.
4. მობილობისას, სტატუსის აღდგენისას და ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მუშავდება შემდეგნაირად:
ა) მობილობისას, სტატუსის აღდგენისას ან/და ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან ერთად, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის თავსებადი სწავლის შედეგების, კრედიტების აღიარებას და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. მოდულის სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება კრედიტი, ხოლო ცალკეული სწავლის შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ მათი ერთობლიობა არ ქმნის სრულ მოდულს, პროფესიულ სტუდენტს კრედიტი ჩაეთვლება მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგების დადასტურების შემდეგ;
ბ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას კრედიტების აღიარება მოხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ჩარჩო დოკუმენტის ფარგლებში;
გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებითაა შემუშავებული, წარედგინება პროფესიულ სტუდენტს

(არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს), რომელიც წერილობით ადასტურებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის სურვილს;
დ) პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი), რომელიც უარს გამოთქვამს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტით სწავლაზე, უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, ან კოლეჯი უარს ამბობს მისი მობილობის წესით მიღებაზე;
ე) შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის წერილობით თანხმობას, მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით.
5. დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლას.
6. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დირექტორი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, კონკრეტულ ჯგუფზე/პროფესიულ სტუდენტზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და დამტკიცების შესახებ.

თავი VI - პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემა

მუხლი 16. პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება

1. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს კოლეჯის დირექტორის პრეროგატივას საკვალიფიკაციო კომისიის ოქმის საფუძველზე.
2. პროფესიული სტუდენტისათვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის კრედიტების ათვისება.
3. საკვალიფიკაციო კომისია წარმოადგენს კოლეჯის დირექტორის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილ კომისიას. ამავე აქტის საფუძველზე განისაზღვრება კომისიის საქმიანობის სფეროც.
4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა, საკვალიფიკაციო კომისია პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, რომლის ჩაბარებაც პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. აღნიშნულთან

დაკავშირებით კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამატებით იქმნება შესაბამისი საკვალიფიკაციო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედის კოლეჯის წარმომადგენლები, საწარმოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და საჭიროების შემთხვევაში სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

5. საკვალიფიკაციო კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებას (ოქმს) იმ პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომლებსაც უნდა მიენიჭოთ შესაბამისი კვალიფიკაცია, ან არ უნდა მიენიჭოთ კვალიფიკაცია.

6. საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

7. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ დააგროვა პროგრამის შესაბამისი კრედიტები და არ მიენიჭა შესაბამისი კვალიფიკაცია, უფლება ეძლევა დაასრულოს პროგრამა დამატებით სასწავლო წელს.

მუხლი 17. საექნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭება

1. საექნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება ის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც ათვისებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

2. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, უზრუნველყოფს ,,საექნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო კომისია'' (შემდგომში კომისია).

3. კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. კომისიის შემადგენლობაში შედის კოლეჯის წარმომადგენლები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები, დამსაქმებლები და საჭიროების შემთხვევაში სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. კომისიის შემადგენლობა არ უნდა იყოს 5 წევრზე ნაკლები.

4. კომისიის ფუნქციებში შედის: საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის შედგენა, გამოცდის შედეგების დადასტურება.

5. საგამოცდო პროგრამა უნდა მოიცავდეს: საგამოცდო საკითხებს, გამოცდის თარიღს, ინსტრუქტაჟს, გამოცდის ხანგრძლივობას.

6. საგამოცდო პროგრამას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

7. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

8. პროფესიულ სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა საკვალიფიკაციო გამოცდა, ერთხელ ეძლევა გადაბარების უფლება. საკვალიფიკაციო გამოცდაზე ორჯერ უარყოფითი შეფასების

მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 18. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემა

1. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ პროფესიულ სტუდენტზე გაიცემა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.
2. სსსმ პირი, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათალისწინებული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგები ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა პროგრამის გავლის დამადასტურებელი ცნობა, მოთხოვნის შემთხვევაში დაძლეული სწავლის შედეგების მითითებით.
3. მომზადება/გადამზადების, ტრენინგ-კურსის (მოკლევადიანი პროგრამის) კურსდამთავრებულზე გაიცემა მომზადება/გადამზადების, ტრენინგ-კურსის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი.
4. პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი/ სერთიფიკატი) გაიცემა შესაბამის ჟურნალში რეგისტრაციის შემდეგ.